საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/55

ქ. ბათუმი 08 ივნისი, 2020 წ.

,,2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 6 აპრილის N01-02/42 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-14 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელი დროებითი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 16 მარტის №01-02/35 ბრძანების, ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების, ,,საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ბსუ-ში სასწავლო პროცესის განხორციელების დამატებითი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 31 მარტის N01-02/39 ბრძანების და „ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №06-01/70 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 აპრილის N06-0/24 დადგენილების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის, მერაბ დიასამიძის 2020 წლის 3 ივნისს N428213 სამსახურებრივი ბარათისა და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის N440269 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 6 აპრილის N01-02/42 ბრძანებაში შევიდეს დამატება, კერძოდ წესის (დანართი 1) მე-2 მუხლს მე-7 პუნქტის შემდეგ **დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:**

,,8. ბსუ-ში შეზღუდული შესაძლებლობების ინტერნეტ-რესურსის (ჰოსტინგი - ვირტუალური სივრცე) გამო დასკვნითი საგამოცდო პროცესის პარალიზების (შეყოვნების) თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილად ჩაითვალოს მიმდინარე სემესტრში დასკვნით გამოცდებამდე ელექტრონული პორტალზე (portal.bsu.edu.ge)

განთავსებული ჩანაწერების/ინფორმაციის წაშლა, გარდა დასკვნითი გამოცდებისათვის მოსამზადებლად სტუდენტებისათვის საჭირო სასწავლო მასალებისა.

2. წინამდებარე ბრძანების აღსრულება დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის წევრებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი **თამარ სირაძე**